კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არ ა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრ ულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირ ებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ ს აქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. კომპანია ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 2 336 034 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს კომპანიის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2019 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. შემოსავალი

	2019	2018
	ლარი	ლარი
ავტო ნაწილების ბაზრობის იჯარა	1,906,900.00	1659591.09
ბაზრობიდან შემოსავალი	28,605.93	31156.01
შემოსავალი ბაზრობის ჯიხურებიდან	310,119.86	300598.74
იჯარით გაცემული ფართების კომუნალურებიდან შემოსავალი	103,524.83	115747.29
კომერციული ფართების იჯარა	94,718.98	149483.61
საოფისე ფართებიდან იჯარიდან შემოსავალი	26,285.25	23482.97
სასაწყობე ფართების იჯარიდან შემოსავალი	939,185.64	829470.86
ავტომანქანის შემოსვლის და ავტოსადგომიდან შემოსავალი	182,636.61	169884
ავტ. ნაწილ. მიწის, ფართის იჯარიდან შემოსავალი (დამატებითი ფართების იჯარა)	29,703.39	13999.63
სხვადასხვა დამხმარე მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი	42,422.00	44895.14
სულ საოპერაციო შემოსავალი	***3,664,103***	***3,338,309***

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ხელფასის ხარჯი	733,731	694,108
დაცვის მომსახურეობის ხარჯი	169,830	127,881
კომუნიკაციის ხარჯები	442	1,303
საწვევის ხარჯი	32,371	30,068
დაზღვევა	25,095	22,047
ბანკის საკომისიო	150,268	629
საკანცელარიო ხარჯი	914	912
ადმინისტაციული ხარჯი	**1,112,651**	**876,948**

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

7. ცვეთა და ამორტიზაცია

	2019	2018
	ლარი	ლარი
შენობის ცვეთა	140,746.87	141632.46
ნაგებობების ცვეთა	37,358.12	36685.85
მანქანა დანადგარების ცვეთა	16,759.14	14685.85
ოფ. აღჭ.ცვეთა გარდა კომპ, ტექ და ავეჯისა		
ინვენტარის ცვეთა	1,549.38	1549.38
ავეჯის ცვეთა	915.85	915.85
ტრანსორტის ცვეთა	5,554.24	27343.8
მრავალწლიანი ნარგავ. ცვეთა	446.15	446.15
კომპ ტექნიკის ცვეთა	818.95	945.39
სულ ხარჯი	**204,149**	**224,205**

8. კომუნალური ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
ელექტრო ენერგია	111817	130,848
ბუნებრივი აირი	28150	28,830
სულ ხარჯი	**139,967**	**159,678**

* ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი გამოყოფილია ცალკე, რადგან მათი დიდი ნაწილი მიეწიდება მოიჯარეებს და მონაწილეობს შემოსავალში. ხოლო წყლის და დასუფტავების ხარჯები ასახულია ''სხვა საოპერაციო ხარჯში''.

9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	561,912	526,142
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	474063	243636
სხვა საოპერაციო შემოსავლები	3400	1391
ფინანსური შემოსავალი	***1,039,374***	***771,169***

საპროცენტო ხარჯები	566,880	527,465
უარყოფითი საკურსო სხვაობა	395,263	188,074
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18,699	58,240
ფინანსური ხარჯები	***980,841***	***773,779***

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშალებები	ოფისის აღჭურვილობა, საოფისე ინვენტარი	მრავალწლიანი ნარგავები	არამატერიალური აქტივები	სულ
2018 წლის 01 იანვარი	116,173	0	3,747,072	914,501	130,758	201,900	65,617	13,398	1,695	5,191,115
შემოსვლა			8,965	5,406	-	-	1,288	-	2,000	17,659
გასვლა			(7,000)	(1,000)	-	-	-	-	-	(8,000)
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-		-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	*116,173*	-	*3,749,038*	*918,907*	*130,758*	*201,900*	*66,905*	*13,398*	*3,695*	*5,200,774*
2019 წლის 01 იანვარი	116,173	-	3,749,038	918,907	130,758	201,900	66,905	13,398	3,695	5,200,774
შემოსვლა	166,580		-	16,104	9,237	-	1,341	-	-	193,262
გასვლა			-	-	-	(165,000)	-	-	-	(165,000)
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-		-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	*282,753*	-	*3,749,038*	*935,011*	*139,995*	*36,900*	*68,246*	*13,398*	*3,695*	*5,229,035*
ცვეთა	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
აკუმულირებული ცვეთა 2018 წლის 01 იანვარი	**-**	**-**	*1,200,354*	*462,966*	*78,355*	*166,567*	*49,398*	*3,569*	*1,483*	*1,962,692*
ცვეთა			*141,632*	*36,686*	*14,686*	*27,344*	*3,411*	*446*	-	*224,205*
გასული ძ. საშ. ცვეთა			**(583)**	**(40)**	**(3,651)**		**-**	**-**	**-**	*(4,274)*
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	*1,341,403*	*499,612*	*89,390*	*193,911*	*52,809*	*4,015*	*1,483*	*2,182,622*
2019 წლის 01 იანვარი	-	-	1,341,403	499,612	89,390	193,911	52,809	4,015	1,483	2,182,622
ცვეთა			140,747	37,358	16,759	5,554	3,284	446	-	204,149
გასული ძ. საშ. ცვეთა			-	-	-	(165,000)	-	-	-	(165,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,482,150	536,970	106,149	34,465	56,093	4,462	1,483	2,221,771
საბალანსო ღირებულება										
საბ. ღირ. 01.01.2018	116,173	-	2,546,719	451,535	52,403	35,333	16,219	9,829	212	3,228,423
საბ. ღირ. 31.12.2018	116,173	-	2,407,635	419,295	41,368	7,990	14,096	9,383	2,212	3,018,151
საბ. ღირ. 31.12.2019	*282,753*	-	*2,266,888*	*398,041*	*33,846*	*2,435*	*12,153*	*8,937*	*2,212*	*3,007,265*

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

* კომპანიის მთელ უძრავ ქონებაზე გავრცელებულია ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“-ს იპოთეკის უფლება, რომლითაც ხდება ხსენებული ინსტიტუტიდან კრედიტით მიღებული თანხების უზრუნველყოფა.

11. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან მეკავშირე საწარმოს მიმართ	4,959,368	4,716,619	4,647,904
სესხებიდან მისაღებიდან პროცენტები	4,421,510	3,688,135	3,082,347
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	**9,380,877**	**8,404,754**	**7,730,252**

* სესხები გაცემულია მეკავშირე საწარმოებზე,
31.12.2018 წლის მდგომარეობით შპს ,,გრატო პასაჟი“ -2 904 789 ლარი, შპს ,,ვანის სათბურები“- 1 678 000 ლარი, შპს ,,ისნის სავაჭრო ცენტრი“-133 830 ლარი.

* 31.12.2019 წლის მდგომარეობით შპს ,,გრატო პასაჟი“ -3 107 982 ლარი, შპს ,,ვანის სათბურები“- 1 678 000 ლარი, შპს ,,ისნის სავაჭრო ცენტრი“- 173 385 ლარი.

12. მარაგები

	12.31.2019	12.31.2018	1.1.2018
	ლარი	ლარი	ლარი
ინვენტარი	19,403.98	20,278.00	20,278.00
საშენი სარემონტო მასალები	502.00	502	502.00
სულ მარაგები	***19,905.98***	***20,780.00***	***20,780.00***

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან (იჯარა)	2,860,012	2,500,352	2,057,264
მოთხოვნები ხელმძვანელი პირების მიმართ	60,000	60,000	60,000
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14,819	14,682	14,939
ჯამი	**2,934,831**	**2,575,034**	**2,132,204**

* სავაჭრო მოთხოვნების დიდი წილი, კერძოდ: 31. 12. 2018 წლის მდგომარეობით 2 261 960 ლარი და 31.12.2019 წლის მდგომარეობით 2 634 914 ლარი, ერიცხება ერთ საწარმოს - შპს ,,ისნის სავაჭრო ცენტრი“.

* 31.12.2019 წელს არსებული ძირითადი საქმიანობიდან წარმოქმილი მოთხოვნებიდან, დავალიანება რომლის ვადაც არ აღემატება 90 კალენდარულ დღეს შეადგენს - 225 098 ლარს.

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-12-19	31-12-18	01-01-18
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	12,194.50	8,729.12	22,701.92
ფული საბანკო ანგარიშზე	192,778.09	329,314.00	105,489.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	*204,972.59*	*338,043.12*	*128,190.92*

16.სარეზერვო კაპიტალი

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
	ლარი	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	275,606	275,606	275,606
სხავდასხვა რეზერვები და დაფინანსება	2,671,073	2,671,073	2,671,073
სარეზერვო კაპიტალი	**2,946,680**	**2,946,680**	**2,946,680**

* ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი შედგება, 2003 წლამდე საანგარიშო პერიოდებში, საქართველოს კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისადად ძირითადი საშუალებების სავალდებულო გადაფასებით მიღებული თანხით.

* სხვადასხვა რეზერვებში საწარმოს თანხები გადაჰქონდა გაუნაწილებელი მოგებიდან რამოდენიმე წლის წინ, რასაც ბოლო ხუთი საანგარიშო პერიოდია აღარ ახორციელებს.

17. სესხები და კრედიტები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
	ლარი	ლარი	ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7,060,900	6,803,342	7,110,358
სესხები და კრედიტები	**7,060,900**	**6,803,342**	**7,110,358**

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	23,504	32,189	26,632
გადასახდელი დივიდენდი	800,275	1,952,245	2,462,155
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**823,779**	**1,984,434**	**2,488,787**

* გადასახდელი დივიდენდი (3410) ფორმირდება დამფუძნებელთა გადაწყვეტილების საფუძველზე, რითაც წინა საანგარიშო პერიოდებში ცხადდებოდა დივიდენდი გასაცემად, მაგრამ სრულად არ გაცემულა დამფუძნებლებზე.

20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაანგარიშებულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის რეალური მომსახურების ვადა განსხვავებული იქნება შეფასებული მომსახურების ვადისგან, ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

21. ხელმძღვანელი პირების კომპენსაციები

საწარმოს დირექტორის - ბექა მახარაძის ხელფასი შეადგენს:

2018 – 53.5 ₾ (ლარი'000);

2019 – 71.6 ₾ (ლარი'000).

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

ფაქტები კომპანიის შესახებ

კომპანიის დასახელება:	შპს „ტრანსსერვისი“
რ ეგისტრაციის თარიღი:	09 სექტემბერი 1996 ს/ნ203842342
საწარმოს იურიდ./ფაქტ. მისამართი:	თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ქ. წამებულის 98
დაქირავებულ პირთა რაოდენობა:	73
დარგი:	უძრავი ქონების მართვა
მთლიანი აქტივების ღირებულება:	15 მლნ ლარზე მეტი
ს აწარმოსპარტნიორი (100%-იანიწილი):	(1) გრიგოლ მიქელაძე (0100800952)- 70% (სრული წილის მმართველი ნარიმან კურბანოვი აზერბაიჯანი P1050731); (2) მედეა ხონელიძე 30%.
ს აწარმოს დირექტორი:	ბექა მახარაძე (01008005162)

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ტრანსსერვისი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მართვა და ორგანიზება. ჩვენი საწარმოს ორგანიზებით საქართველოში შეიქმნა (ერთ-ერთი პირველი) მეორადი ავტონაწილების ბაზრობა *„ისნის ავტონაწილების ბაზრობა“ (მის: თ ბილისი ქ. წამებულის გამზირი №98, ფართობი 6350 კვ.მ.)*, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ითვლება ყველაზე მსხვილ და ფართო ასორტიმენტის მქონე მეორადი ავტონაწილების ბაზრობად.

ჩვენი ბაზრობის მომხმარებელთა გეოგრაფიული არეალი საქარათველოს გარდა, მოიცავს: აზერბაიჯანს, სომხეთს, ირანს, დაღესტანს, ინგუშეთს, ჩეჩნეთს, ჩრ. ოსეთს და ყაბარდო-ბალყარეთს.

ავტონაწილების ბაზრობის გარდა ამავე მისამართზე (მთ. ფართობი 62 317 კვ.მ.) მდებარეობს ეგრედ წოდებული ,,ისნის ბაზრობა“, რომელიც ფუნქციონირებს 90-ანი წლებიდან. დღეს მისი განლაგების ტერიტორია მოიცავს 3000 კვ.მ. ტერიტორიას, სადაც ხდება ძირითადად ტანისამოსით ვაჭრობა, ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვებით მომსახურეობის ობიექტები.

აღნიშნულ მისამართზე საწარმო ასევე ფლობს და მართავს კომერციული დანიშნულების და სასაწყობე ფართებს (9500კვ.მ), სადაც თვალსაჩილო ადგილი უკავია ცნობილ სურსათის საცალო ქსელის მაღაზიას ,,უნივერსამი“ (შესავლელი ვ. ჩაჩავას ქუჩიდან). დანაჩენი ტერიტორია მოიცავს ავტოსადგომებს და მიმოსვლის შიდა გზებს.

გარდა ამისა, ქ. სიღნაღის ტერიტორიაზე საწარმოს მფლობელობაშია მიწის ნაკვეთი (628კვ.მ.) და მასზე დამაგრებული შენობა, სამტრდიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფლობს 40 ჰა. სასოფოლო მიწის ნაკვეთს და 2.5 ჰა. არასასოფლო მიწის ნაკვეთს. ქ. სიღნაღში არსებული შენობა გაქირავებულია და მასში ფუნქციონირებს სასტუმრო და რესტორანი, ხოლო სამტრედიის მიწის ნაკეთები ჯერჯერობით გამოუყენებელია.
როგორც ავღნიშნეთ ჩვენი ავტონაწილების ბაზრობის მომხმარებლები არიან მეზობელი ქვეყნები. 2020 წლის მსოფლიო პანდემიის გამო ვეღარ ახერხებს შემოსვლას საქართველოში მომხმარებელი, რაც დიდ ზიანს აყენებს ჩვენს მოვაჭრე მოიჯარეებს.

როგორც აღინიშნა საწარმოს შემოსავალი ფორმირდება მომსახურების გაწევით, იჯარის სახით მიღებული შემოსავლებით:

რეალიზაცია, 2019 წელი ლარი	რეალიზაცია, 2018 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან %
3 664 103.	3 338 309	9.75



2019 წელს გაიზარდა საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება და შეადგინა 15 548 062 ლარი, რაც 7.5 %-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

სულ აქტივები, 2019 წელი ლარი	სულ აქტივები, 2018 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
15 548 062	14 381 148	7.5

საწარმოში 2019 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა - 73 ადამიანი, რაც 7.35%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

პერსონალი, 2018 წელი ადამიანი	პერსონალი, 2017 წელი ადამიანი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
73	68	7,35

საწარმოში 2019 წელს საშუალო ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 850 ლარს, ხოლო 2016 წელს - 846 ლარს

საშუალო ხელფ ასი, 2019 წელი ლარი	საშუალ ოხელფ ასი, 2018 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
837.6	850	(1.45%)

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საწარმოში დასაქმებულ პირთა 20.5% ქალია:

ქალთა წილი დასაქმებულებში, 2019 წელი %	ქალთა წილი დასაქმებულებში, 2018 წელი %
20.5%	22%

საწარმო წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუტორს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ:

გადახდილი გადასახადები, 2018 წელი ლარი	გადახდილი გადასახადები, 2017 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
834 067	736 330	13.27%

სამუშაო გარემო და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს კომპანიაში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა.

აღნიშნული მიღწევები განპირობებულია კომპანიის მთელი კოლექტივის ერთობლივი ძალისხმევით და მათი მაღალი პროფესიონალიზმით.

კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობამ 2019 წელს შეადგინა

- 73 პირი.

ჩვენთან ყოველთვის ხდება თანამშრომლების მხრიდან სამუშაო პირობებზე და გარემოზე დასმულ საკითხზე ყურადღების მიქცევა, რაც აუმჯობესებს სამუშაო გარემოს.

ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ მუდმივად ხდება თანამშრომელთა გადამზადება და შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. ადამიანური რესურსების განყოფილება კომპანიაში დასაქმებულ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათი უფლებების შესახებ.

საწარმო უზრუნველყობს კუთვნილი თანამდებიბრივი სარგოს დროულად ანაზრაურებას ყველა თანამშომლისათვის.

იხილეთ 2018-2019 წლების სახელფასო ფონდი:



ეკოლოგიური პოლიტიკა

კომპანიის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, მთლიანად მიმართულია კომპანიის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისაკენ.ეკოლოგიური პოლიტიკა ასევე მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას.

კომპანია დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის დროს პასუხისმგებელი პირები მკაცდა კონტროლდება გარემოზე შესაძლო ზეგავლენა და მაქსიმალურად ვცდილობთ გამოვიყენოთ ეკოლოგიურად სუფთა მასალები

ნარჩენების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით

გარემოს დაცვა ყველა ჩვენგანის უპირველესი მოვარეობაა და ამ მიზნით ჩვენ მუდმივად ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ

შიდა კონტროლის მექანიზმები

საწარმოში კონტროლი ხორციელდება რამოდენიმე სხვადასხვა ეტაპზე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში განზრახ, თუ უნებლიე შეცდომის დაშვების რიკს:

1) საწარმოში განხორციელებული ყოველდღიური სამეურნეო ოპერაციები, კონტროლდება და აღირიცხება საწარმოს ფინანსური/საბუღალტრო ჯგუფის მიერ;

საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებების დამუშავებული და აღრიცხული ფინანსური მაჩვენებლები კიდევ ერთხელმოწმდება

და კონტროლდება საწარმოს შიდა აუდიტორის მიერ ყოველთვიურად;

საწარმოს საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებისა და შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი წლის ფინანსური ანგარიშგება მოწმდება და მტკიცდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

თავის მხრივ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება კიდევ ერთ კონტროლს გადის საწარმოს პარტნიორთა კრებაზე;

1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურობის გამართულობა პერიოდულად მოწმდება საწარმოს უფლებამოსილი პირების მიერ

მომავლის ხედვა

კომპანიის განვითარების პერსპექტივებია:

მომხმარებლების მომსახურები ხარისხის დახვეწა და გაუმჯობესება;

მომხმარებლის მოსაზიდად მარკეტინგული ღონისზიებებისათვის ხელშეწყობა;

პერსპექტიული მომწოდებლების შერჩევა და საქმიანი კონტაქტის დამყარება;

თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა კონტროლის გასაუმჯობესებლად;

ინტერიერზე და ექსტერიერზე მუდმივად ზრუნვა;

კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე ზრუნვა;

პერსონალისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება და შრომის ანაზღაურების ზრდა;

კომპანიას დაგეგმილი აქვს ეგრედ წოდებულ ,,ტანსაცმლის ბაზრობა“-ს და მის ადგილს მისცეს ახალი განვითარება, კერძოდ: დაგეგმილია აშენდეს თანამედროვე მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომელიც მოემსახურება ფართო მომხმარებლებს თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად. დაგეგმილი პროექტის მომავალში განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს, თანამშრომელთა რაოდენობას და ანაზღაურებას.

07 ივლისი

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია **2020**

შპს „ტრასსერვისი“-ს დირექტორი

მომავლის ხედვა

კომპანიის განვითარების პერსპექტივებია:

მომხმარებლების მომსახურები ხარისხის დახვეწა და გაუმჯობესება;

მომხმარებლის მოსაზიდად მარკეტინგული ღონისზიებებისათვის ხელშეწყობა;

პერსპექტიული მომწოდებლების შერჩევა და საქმიანი კონტაქტის დამყარება;

თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა კონტროლის გასაუმჯობესებლად;

ინტერიერზე და ექსტერიერზე მუდმივად ზრუნვა;

კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე ზრუნვა;

პერსონალისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება და შრომის ანაზღაურების ზრდა;

კომპანიას დაგეგმილი აქვს ეგრედ წოდებულ ,,ტანსაცმლის ბაზრობა"-ს და მის ადგილს მისცეს ახალი განვითარება, კერძოდ: დაგეგმილია აშენდეს თანამედროვე მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომელიც მოემსახურება ფართო მომხმარებლებს თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად. დაგეგმილი პროექტის მომავალში განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს, თანამშრომელთა რაოდენობას და ანაზღაურებას.

07 ივლისი
2020

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

შპს „ტრასსერვისი"-ს დირექტორი

აუდიტორული ფირმა
AUDIT COMPANY
LTD "D & G Audit"

შპს „დ და გ აუდიტი“ (SARAS-F-640926)
KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12, 0193 თბილისი, საქართველო

D & G AUDITI Llc. (SARAS-F-640926)
King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12, 0193 Tbilisi, Georgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კონონის მე-7 მ უხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში. შპს „ტრანსსერვისი“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 17 იანვარს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩ ვენ მ იერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს , ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

მ მართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანს ური წლის ინფორმაცია, რ ომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამ ისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და

მ მართველობით ანგარიშგებაში წარმ ოდგენილი ინფორმაცია ა კმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების ა და აუდიტის შესახებ ს აქართველოს კანონის მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმტიული აქტების მოთხოვნებს.

გრიგოლი ნოზაძე
შპს „დ და გ აუდიტი“-ს სახელით
თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი, 2020 წ

აუდიტორული ფირმა
AUDIT COMPANY
LTD "D & G Audit"

შპს „დ და გ აუდიტი" (SARAS-F-640926)
KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12, 0193 თბილისი, საქართველო

D & G AUDITI Llc. (SARAS-F-640926)
King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12, 0193 Tbilisi, Georgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კონონის მე-7 მ უხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში. შპს „ტრანსსერვისი"-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 17 იანვარს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩ ვენ მ იერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს , ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

მ მართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანს ური წლის ინფორმაცია, რ ომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამ ისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და

მ მართველობით ანგარიშგებაში წარმ ოდგენილი ინფორმაცია ა კმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების ა და აუდიტის შესახებ ს აქართველოს კანონის *მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.*

გრიგოლი ნოზაძე
შპს „დ და გ აუდიტი"-ს სახელით
თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი, 2020 წ

D&G AUDIT 205270035 GEORGIA "D & G AUDIT" LTD